



ც. ცაგენალევი

ქართველის
და ლიტერატურის
სახელმწიფო
თავისებრები

119.229
3



634.8 + 663.2
940000000
2022 01 01

ე. 9188141 ეპა

ყარპნისა და ღვინის სასარგებლო თვისებები

K 119.229
30v

(97)

შამოხველობა
„საგზოობა საქართველო“
თბილისი
1965



634.8

634.8 + 663.2

Б 231

წინამდებარე შრომაში მოცემულია სამრეწველო ვაზის ჯი-
შები, ჩამოყალიბებულია ღვინის კატეგორიები, ღვინოში შე-
მავალი კომპონენტები, როგორც ადამიანის ორგანიზმის
ცხოველმოქმედებისათვის აუცილებელი და საჭირო ნივთიე-
რებანი; განხილულია ყურძნის პროდუქტთა კვებითი ღირე-
ბულება.

შრომა დახმარებას გაუწევს მშრომელთა ფართო მასებს
ყურძნის და მისი პროდუქტების მრავალმხრივი გამოყენების
საქმეში.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევენ მევენახეობა-მელვინეობის შემდგომი განვითარების საქმეს. შეიდწლიანი გეგმის მიხედვით 1965 წლის ბოლოს საქართველოში ვენახების საერთო ფართობი მიაღწევს 120.000 ჰექტარს, ხოლო ღვინის წარმოება გაიზრდება 2,5-ჯერ.

მევენახეობა-მელვინეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია.

ქართველი ხალხის ეკონომიკაში ვაზსა და ღვინოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ქართული ღვინო ძველ-თაგანვე ცნობილია თავისი მაღალი ხარისხით. იგი ადრეულ პერიოდშიც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საექსპორტო საგანს წარმოადგენდა და ფართოდ იხვეჭდა სახელს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

ანიჭებდა რა დიდ მნიშვნელობას ქართულ ღვინოს, აკადე-მიკოსი ივ. გავახიშვილი თავის კაპიტალურ ნაშრომში („სა-ქართველოს ეკონომიური ისტორია“) წერდა, რომ „მაღალი ღირსების გამო, ქართული ღვინო უცხოეთშიც კი გაპქონდათ და საგარეო ვაჭრობის ძვირფას საექსპორტო საგანს წარმოად-გენდა ისეთ ხანაშიც კი, როდესაც ჩვენი ქვეყანა კულტურუ-ლად და ეკონომიურად უკვე საგრძნობლად იყო დასუსტე-ბული“.

ქართულ ღვინოს საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთ საპატიო როლს ანიჭებდა აგრეთვე პროფ. ივ. პეტრიაშვილი, რომელიც აღნიშნავდა: „თუ გვსურს, რომ ჩვენი არსებობა მო-მავალში სრულებით არ გაითელოს და ხსენება არ გაქრეს,



უნდა საქმეს შევუდგეთ და ჩვენი ეკონომიური მდგომარეობაზე უნდა განვაახლოთ და გავაუმჯობესოთ. შევისწავლოთ ის საშუალებანი, რომელთა შემწეობითაც შეგვეძლოს წინ წავაყენოთ ჩვენი მეურნეობა და ჩვენი მრეწველობა. აქ არის ჩვენი მაღამო, აქ ცოდნა და დაუღალავი შრომაა საჭირო“.

გარდა ეკონომიური თვალთახედვისა, ცნობილია აგრეთვე ლვინის დიეტური და სამკურნალო მნიშვნელობა. ყურძნის ლვინო შეიცავს რიგ ნივთიერებებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მისი დამზადება დაქავშირებულია საკმაოდ რთულ ტექნოლოგიურ პროცესებთან და სპეციალისტთა სათანადო ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვს.

სკო-2000
ავალიზაცია

სალვინე გაზის ჯიშვაში

საქართველო ცნობილია ვაზის ჯიშთა ნაირსახეობით, სა-
დაც 500-ზე მეტი ადგილობრივი ვაზის ჯიშია, არსებობს აგრე-
თვე შემოტანილი ვაზის ჯიშები, რომელნიც კარგად ეგუებიან
ნიაღაგურ-კლიმატურ პირობებს და ცალკეულ მიკრორაიო-
ნებში შესაფერის მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევიან.

ქვემოთ შევჩერდებით იმ ვაზის ჯიშთა მოკლე დახასიათე-
ბაზე, რომლებიც სხვადასხვა ტიპის მაღალხარისხოვან ღვი-
ნოებთან ერთად სხვადასხვა სახის პროდუქტებს იძლევიან.

რქაწითელი თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიშია,
საქმიაღ წვნიანი, მეტად სასიამოვნო ტკბილი და ოდნავ
ხალისიანი, მომჟავო გემოთი.

კახეთის პირობებში იგი სრულ სიმწიფეში შედის სექტემ-
ბრის ბოლო რიცხვებში.

რქაწითელის ღვინო ხასიათდება სრული ჰარმონიულო-
ბით, დიდი სხეულით, ტრანსპორტაბელობით, შენახვის დიდი
უნარით და ყველა იმ ღირსებით, რაც უნდა ახასიათებდეს მა-
ღალხარისხოვან სუფრის ღვინოს. იგი თითქმის ყველა ტიპის
ღვინოს იძლევა. ამასთანავე ცნობილია, როგორც მაღალხა-
რისხოვანი ყურძნის წვენის მომცემი ჯიში.

კახური მწვანე თეთრყურძნიანი საღვინე ჯიშია.
მაღალხარისხოვანი, განსაკუთრებით საყურადღებოა მისი სი-
ნაზე და არომატით სიმღიდრე.

ხიხვი თეთრყურძნიანი და სამეურნეო დანიშნულებით
მაღალხარისხოვანი, საქართველოს უძველესი საღვინე ვაზის
ჯიშია. მისგან ამზადებენ მაღალხარისხოვან შემაგრებულ ლი-
ქიორის ტიპის ღვინოს.

საფერავი კახეთის წითელყურძნიანი და სამეურნეო
დანიშნულებით უძვირფასესი საღვინე ვაზის ჯიშია, იძლევა
განსაკუთრებული ღირსების მქონე სუფრის ღვინოს.



კაბერნე წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია. მისგან გადასცემული ზაღებენ საქმაოდ ცნობილ სუფრის წითელ ღვინოს „თელიანის“ სახელწოდებით.

ჩინური თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიშია. მისი ღვინო ხასიათდება ყველა იმ დადებითი თვისებებით, რაც მოეთხოვება მაღალხარისხოვან სუფრის ღვინოს. ჩვენში მას იყენებენ მაღალხარისხოვანი შამპანური ღვინის დასამზადებლად.

გორული მწვანე თეთრყურძნიანი საღვინე ჯიშია. შამპანური მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით მის პროდუქციას ფართოდ იყენებენ ხარისხოვანი შამპანური ღვინების დასამზადებლად.

ალიგოტე (მუხრანული) თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია. მისგან დამზადებული სუფრის ღვინო ნაზი, მსუბუქი, ჰარმონიული და მაღალხარისხოვანია. ამეამად მისგან მზადდება ეპროპული ტიპის სამარჯო ღვინო № 9. ამავე დროს იგი საუკეთესო შამპანურ ღვინომასალას იძლევა.

პინო კარგად ცნობილი თეთრი ყურძნის ჯიშია. გამოიყენება შამპანური ღვინის წარმოებაში; იძლევა ხალისიან, ჰარმონიულ ღვინომასალას, აგრეთვე მაღალი ღირსების სუფრის წითელ ღვინოს.

კრახუნა თეთრყურძნიანი, მაღალხარისხოვანი, იმერული სუფრის ღვინის ჯიშია.

ციცქა თეთრყურძნიანი საღვინე ჯიშია; მაღალხარისხოვან ღვინოს იძლევა, განსაკუთრებით ხარაგოულისა და ზესტაფონის რაიონებში, ციცქას პროდუქცია ძირითადად გამოიყენება შამპანური ღვინის დასამზადებლად.

ცოლიკოური თეთრყურძნიან საღვინე ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის, იძლევა მაღალხარისხოვან ღვინოს, განსაკუთრებით ცენტრალური იმერეთის ზონაში.

ოჭალეში წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიშია. იძლევა მეტად მაღალი ღირსების წითელ ღვინოს, რომელიც ხასიათდება კარგი შეფერვით, სრული ჰარმონიულობით და მაღალი ღირსებით.

უსახელოური წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია;

ფართოდაა გავრცელებული ლეჩებუმში. მისგან მზადდება სუფ-
რის წითელი ღვინო.


ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო უ ლ ი წითელყურძნიანი ჯიშია. გავრ-
ცელებულია ქვემო რაჭაში — ამბროლაურის რაიონში. სრუ-
ლი სიმწიფის პერიოდში ყურძენი ჭინობას განიცდის, რის შე-
დეგად იზრდება შაქრის კონცენტრაცია (27—28%). მისგან
დამზადებული ღვინო იძლევა ჯიშისათვის დამახასიათებელი
მაღალი ხარისხის გემოვნებით მდიდარ ღვინოს. მისგან მზად-
დება ბუნებრივად ტკბილი სამარქო ღვინო № 20 („ხვანჭ-
კარა“).

ჩ ხ ა ვ ე რ ი ვარდისფერ ყურძნის ჯიშს ეკუთვნის. მისგან
დამზადებული ღვინო ხასიათდება ღია ვარდისფერი შეფერ-
ვით, განსაკუთრებული სინაზით, ჰარმონიულობით და საკმაო
ექსტრაქტულობით. გამოიყენება შამპანურ ღვინომასალად.

შურძნის ტაბილის ალკოჰოლური დუღილი

ღვინის ტექნოლოგიურ პროცესში ალკოჰოლური დუღილი
ძირითადი წამყვანი პროცესია.

ყურძნისა და ხილის შაქარი $C_6H_{12}O_6$ საფუარი სოკოების
ცხვიველმოქმედებით იშლება ეთილის სპირტად (C_2H_5OH) და
ნახშირორჟანგად (CO_2). ამ პროცესის დროს რეაქცია მიმდი-
ნარეობს შემდეგი სახით:



წარსულში კაცობრიობისათვის არ იყო ცნობილი დუღი-
ლის პროცესის შინაარსი, მხოლოდ XVIII საუკუნეში ლაუა-
ზიემ ამოხსნა ეს მოვლენა, რომ შაქარი დუღილის პროცესში
იშლება სპირტად და ნახშირორჟანგად. უფრო გვიან პასტერმა
აღმოაჩინა, რომ დუღილის გამომწვევი სოკოები შაქრიან
ხსნარში ხვდებიან ჰაერიდან. თუ სტერილურ შაქრიან ხსნარებს
სოკოს ჩანასახის შეჭრისაგან დავიცავთ, დუღილს ადგილი არ
ექნება. ამით დასტურდება, რომ სპირტული დუღილი გამო-
წვეულია საფუარი ორგანიზმებით.

1897 წ. ბუხნერმა გამოაქვეყნა საკუთარი ცდის შედეგები,
სადაც გაშუქებული აქვს ალკოჰოლური დუღილის ბუნება. მა-

ლალი წნევის მეშვეობით მან მიაღწია საფუვრის უჯრედმაჭულებას. შლას, რის შედეგად მიღებული წვენი იწვევდა დუღილს. ბუხნერმა დაამტკიცა, რომ უჯრედგარეშე დუღილი დაკავშირებულია მასში არსებულ ფერმენტულ მოქმედებასთან.

ამგვარად დამტკიცდა, რომ სპირტული დუღილის გამომწვევი ნივთიერება საფუარი უჯრედის შიგნითაა. შეიძლება უჯრედიდან მისი იდენტიფიკაცია, რის შემდეგ იგი აქტიურობას არ კარგავს.

უჯრედგარეშე დუღილის ამოხსნას ფერმენტული პროცესების გაგებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „ცოცხალი“ ან „ორგანიზებული“ ფერმენტების ჰიპოთეზის არსი საკმაოდ მტკიცე არ იყო; აღმოჩენილ იქნა, რომ შაქრის დაშლას განაპირობებდა არაცოცხალი ნივთიერების კატალიზტი მოქმედება. ფერმენტი სუფთა სახით ჯერ კიდევ არ იყო მიღებული. მისი განსაზღვრა მხოლოდ მათი მოქმედებით შეიძლებოდა, პირველად მათ „არაორგანიზებული ფერმენტი“ უწოდეს, უფრო გვიან კი — ენზიმი.

ენზიმს, რომელიც ალკოჰოლურ დუღილს იწვევს, ბუხნერმა ზიმაზა უწოდა. იგი ანტისეპტიკურ საშუალებათა (სალიცილის მჟავის, ტოლუოლის და სხვ.) მიმართ მდგრადია.

ზიმაზა შეიძლება მიღებულ იქნას მშრალი სახით, ისე. რომ არ დაეკარგოს აქტიურობა. დამტკიცებულია, რომ სპირტულ დუღილს იწვევს ფერმენტატული სისტემა, რომელიც შედგება რიგი ენზიმებისაგან; ამათგან, ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელოვანია დეპიდრაზა და კარბოქსილაზა.

ალკოჰოლური დუღილის პროცესში სხვადასხვა შაქრები სხვადასხვა სიჩქარით დუღს. ყველაზე ადვილად დუღს გლუკოზა და ფრუქტოზა, უფრო ნელა — გალაქტოზა. პენტოზების დაშლა საფუვრებით არ ხდება. ისინი შეიძლება დაღუღდნენ მხოლოდ *Fusarium*-ს გვარის ზოგიერთი ობის სოკოთი. დისახარიდების ალკოჰოლური დუღილისათვის კარგი სუბსტრატია სახაროზი და გალაქტოზი, მაგრამ ორივე წინასწარი დაშლის შემდეგ დუღს მხოლოდ მათ შემაღებელ მონოსახარიდებად და არე განიცდის ალკოჰოლურ დუღილს.

ალკოჰოლური დუღილის პროცესი საფუძვლად უდინებელია კვების მრეწველობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, როგორიცაა ღვინის, ლუდისა და სპირტის წარმოება.

ზურდის ღვინის კლასიფიკაცია

ზველა ქვეყანას, სადაც კი მეღვინეობას მისდევენ, შემუშავებული აქვს ღვინის კლასიფიკაცია, რომელიც დაყოფილია კატეგორიებად.

კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ღვინის შემაღენლობა, სიმაგრე, სიტყბო, შეფერვა, ნახშირორუანგის შემცველობა და ტექნოლოგია.

ცნობილია, რომ ყურძნის მეტი ნაწილი, ტექნოლოგიური გადამუშავების შემდეგ, მოიხმარება სუფრის ღვინის დასამზადებლად. თეთრი და წითელი სუფრის ღვინო ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუღილის შედეგად მიღებული პროდუქტია, რომლის ჩამოყალიბებაში ამა თუ იმ ტიპის ღვინისათვის ყურძნის მტევნის ნაწილებიც იღებენ მონაწილეობას.

ღვინის კატეგორიები შემდეგნაირად ხასიათდება:

მ შ რ ა ლ ი ს უ ფ რ ი ს ღ ვ ი ნ ი მიიღება ჭაჭაზე, კლერტზე ან მის გარეშე, შაქრის მთლიანი დადუღებით, ე. ი. არ უნდა შეიცავდეს შაქარს, მზადდება 16—24% შაქრის შემცველი ყურძნიდან, მისი სიმაგრეა 9—14°.

შ ე მ ა გ რ ე ბ უ ლ ი ღ ვ ი ნ ი ე ბ ი მიიღება ახალი ან დამჭინარი ყურძნის წვენის ჭაჭაზე, ან უჭაჭოდ არასრული დადუღების შედეგად. შემაგრებული ღვინოები თავისი შემაღენლობის, ხასიათისა და ბუნების მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: მავარი და საღესერტო. ამ უკანასკნელში შედის ნახევრად ტკბილი, ტკბილი და ლიქიორის ტიპის ღვინოები, რომლებიც შეიცავენ 20%-მდე შაქარს და მასში სპირტის ოდენობის შემცველობის მიუხედავად, ეწოდება ლიქიორული ღვინო.

მ ა გ ა რ ი ღ ვ ი ნ ი ე ბ ი ს ა თ ვ ი ს დამახასიათებელია მაღალი ალკოჰოლი — 17—20%-მდე (მოც.), შაქრის შემცველობა კი — 10%-მდე.

ცქრიალა ღ ვ ი ნ ი ე ბ ს სუფრის ახალი ღვინისაგან



ამზადებენ. ამ მიზნით ყურძნის მოკრეფა სპეციალური ქვემოთ
თვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს, მისი შაქრიანობა და
მჟავიანობა დადგენილ მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებ-
დეს. დამზადებულ შამპანურ ღვინომასალას ემატება შაქრის
(სახაროზა). ცქრიალა ღვინოში ჭარბადაა გახსნილი ნახ-
შირორეანგი, წარმოქმნილი მეორეული დუღილის შედეგად,
რითაც გამოიჩინება სხვა კატეგორიის ღვინოებისაგან.

ცქრიალა ღვინოების ერთ-ერთი წარმომადგენელია საბ-
ჭოთა შამპანური, რომლის სპირტის შემცველობა 11,5%-მდეა, •
ტიტრულ-მჟავიანობა — 7,5 გ/ლ; მშრალ შამპანურ ღვინოებ-
ში შაქრის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს; ნახევ-
რად მშრალ შამპანურში — 5%-ს; ნახევრად ტკბილში —
8%-ს, ხოლო ტკბილ შამპანურში — 10%-ს; საბჭოთა წითელ
შამპანურში სპირტის რაოდენობა 12,5%-ია, ტიტრული მჟა-
ვიანობა — 6 გ/ლ, შაქარი — 9%.

შუ შეუნა, ანუ დაგაზიანებული ღვინო მზადდება სუფრის ღვინის ნახშირორეანგით ხელოვნურად
გაყლენთით. მასში სპირტის შემადგენლობაა 10—12%, შა-
ქარი — 5%.

არომატიზებული ღვინო მზადდება ყურძნის ღვინისაგან, სპირტის, შაქრის, არომატული ბალახების და ძი-
რების ნაყენის დამატებით. არომატიზებული ღვინო სსრკ-ში
ცნობილია ვერმუტის სახით. თეთრი და წითელი ვერმუტი
მზადდება ორნაირი კონდიციის: მაგარი (18° სპირტი და 10%
შაქარი) და სადესერტო (16° სპირტი და 16% შაქარი).

სამარკო ღვინო სსრ კავშირში ერთ-ერთი საუკე-
თესო ღვინის ტიპია. წარმოადგენს მაღალხარისხოვან დაძვე-
ლებულ ღვინოს. იგი მიიღება ყურძნის ერთი ან რამდენიმე
ჯიშის ვაზის ღვინომასალების კუპაჟით.

ზურდენი და ზურდენის ზვენი, როგორც დიეტური, სამკურნალო და პვეგის პროდუქტი

ყურძენი და ყურძნის წვენი შეიცავენ რიგ ნივთიერებებს,
რომლებიც აუცილებელია ადამიანის სასიცოცხლო პროცესე-
ბის და ფუნქციების მოწესრიგებისათვის.

ყურძნითა და ყურძნის წვენით მკურნალობა უხსკოჭარჩი
დროიდანაა ცნობილი ძველ საბერძნეთში, რომსა და არა-
ბეთში.

საქართველოში ყურძნით მკურნალობა რომ უძველესი
დროიდანაა ცნობილი, ეს მოცემულია „უსწორო კარაბაღინ-
ში“ (XI ს.) და „იადიგარ-დაუდში“ (XIV ს.). აღნიშნულ წიგ-
ნებში ყურძენი და მისი პროდუქტები დახასიათებულია რო-
გორც სამკურნალო, ისე მაღის მომგვრელ საშუალებად,
ყურძნის მიღება რეკომენდებულია უწიპწოდ (წიპწა კუჭისა-
თვის ძნელი გადასამუშავებელია). ამავე წიგნში აღწერილია
ბაქმაზის სამკურნალო თვისება ნააღრევი სიბერის საწინააღმ-
დეგოდ.

ყურძნისა და ყურძნის წვენის ძირითადი შემადგენელი
ნივთიერებებია ფრუქტოზა და გლუკოზა. შაქრების შეწოვა
ხდება ადვილად და მთლიანად — უფრო სწრაფად იწვის,
ვიდრე ცხიმები და ცილები; წარმოიქმნება სითბოს ენერგია,
რაც ხელს უწყობს კუნთების ნორმალურ მუშაობას და ახალი
უჯრედებისა და ქსოვილების შექმნას. ყურძნის წვენი არის
ერთ-ერთი შეუცვლელი პროდუქტი დაუძლურებული ორგა-
ნიზმის გამოსახანსაღებლად.

ყურძენი და ყურძნის წვენი შეიცავს მნიშვნელოვანი რაო-
დენობის ორგანულ მჟავებს (ლვინის, ვაშლის, ლიმონის). ისი-
ნი არეგულირებენ საჭმლის მომნელებელი აპარატის მუშაო-
ბას, ამასთანავე ერთ-ერთი ჰიგიენური და ბაქტერიციდული
საშუალებაა.

მინერალური ნივთიერებანი: ფოსფორი, კალიუმი, რკინა,
კალციუმი და სხვ., ისევე საჭიროა ორგანიზმისათვის, რო-
გორც ნახშირწყლები, ცილები და ცხიმები. კალციუმი და ფოს-
ფორი წარმოადგენს ზრდის ხელშემწყობს. კალიუმი კი
ანეიტრალუბს ორგანიზმში არსებულ მავნე მჟავებს. რკინა
სისხლის გაახლებისა და დაუანგვითი პროცესების ერთ-ერთ
ფაქტორს წარმოადგენს.

გარდა ზემოთ აღნიშნული ნივთიერებებისა, ყურძენი შეი-
ცავს ვიტამინებს (B₁, B₂, B₁₂, C და სხვ.).

შერ კიდევ XIX ს. მეორე ნახევარში ცნობილი იყო, რომ

ცხოველური და მცენარეული წარმოშობის საკვები პროდუქტების ღირების ღირებულებას წყვეტდა საკვებში შემავალი ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები და მინერალური მარილები.

კვების ეს ფიზიოლოგიური საკითხი სრულყოფილად მიიღეს იმ დროის ავტორიტეტულმა ფიზიოლოგებმა პოტენციუარმა, ფოიტმა და რუბნერმა, მაგრამ მეცნიერება თანდათან მივიღა იმ დასკვნამდე, რომ ასეთი შემაღენლობის საკვები ვერ დააკმაყოფილებდა ორგანიზმის ენერგეტიკულ და პლასტიკურ მოთხოვნილებას, რომ ორგანიზმის მიერ საკვები ნივთიერებები მოიხმარება, ერთი მხრივ, დახარჯული ენერგიის, ხოლო, მეორე მხრივ, პლასტიკური ნივთიერებების სახით ახალი და ძველი უჯრედებისა და ქსოვილების დარღვეული სტრუქტურული ელემენტების აღსაღენად.

მკვლევართა მრავალი ცდა მიეძღვნა იმ დაავადებათა (ცინგა-სურავანდი, ბერი-ბერი (პოლინეფრიტი) და სხვ.) ჯერ კიდევ შეუცნობელი მიზეზების აღმოჩენას, რომლებსაც იშვევს ზემოთ აღნიშნული ნივთიერებების შემცველი პროდუქტებით კვება. ერთ-ერთი ექსპედიციის მონაშილე ბოტანიკოსმა და ფიზიოლოგმა სტელერებმა შეისწავლეს სურავანდის პროფილაქტიკისათვის ბალახეულის სამკურნალო თვისებები.

სამედიცინო აღრიცხვებით იაპონიაში, ჩინეთში, აფრიკაში და სამხრეთ ამერიკაში, ე. ი. იმ ქვეყნებში, სადაც კვების ძირითადი პროდუქტია ბრინჯი, მოსახლეობა იტანჯებოდა ბერი-ბერით, ბავშვები კი — რაქიტით.

შეხედულება იმის შესახებ, რომ ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი რაციონია ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები და მინერალური მარილები, უარყო გასული საუკუნის ახალი თეორიული მეცნიერების ფუძემდებელმა ლუნინმა; რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ვიტა-მინოლოგს.

საკვებში შემავალ ჯერ კიდევ უცნობ ნივთიერებათა ძიება მრავალი წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ინგლისელმა მეცნიერმა ჰოპკინსმა ცოცხალი ორგანიზმის საკვებში შემავალ აუცილებელ ნივთიერებებზე თავისი ცდების შედეგი ასე გამოხატა: „არც ერთ ცხოველს არ შეუძლია იცხოვროს სუფთა

ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების ნარევით, თუნდაფრაჭაშეგრძელები რომ დავუმატოთ საჭირო არაორგანული მასალაც. ცხოველური ორგანიზმი შეგუებულია იცხოვროს ან მცენარეთა ანდა ცხოველთა ქსოვილების ხარჯზე; ეს ქსოვილები კი შეიცავენ ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების გარდა, კიდევ სხვა უამრავ სუბსტანციებს“.

ამ დამატებითი ნივთიერებების აღმოჩენამ ხელი შეუწყო მედიცინის მეცნიერებას ადამიანის ზოგიერთი დაავადების გამოკვლევაში. მეცნიერება თანდათან მივიღა იმ დასკვნამდე, რომ ნედლ ბოსტნეულსა და ხილს აქვს დიდი მნიშვნელობა სკორბუტის (სურავანდი) წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

1911 წ. კაზიმირ ფუნქმა საფუვრებიდან და ქატოდან გამოყო კრისტალური ნივთიერება, რომლის 0,004 გ დოზა კურნავდა ბერი-ბერით დაავადებულ ფრინველებს.

ლუნინის დასკვნით, სიცოცხლისათვის ყველა აუცილებელი ნივთიერება შედის ამინის ჯვუფში, მანვე შეიტანა წინადადება, რომ ამ ნივთიერებებს ეწოდოს ვიტამინი (ვიტა — სიცოცხლე, ამინო-ქიმიური ნივთიერება, ე. ი. სიცოცხლისათვის საჭირო ამინი).

ფუნქი აღნიშნავს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ელემენტებს: ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს და მინერალურ მარილებს უნდა მიემატოს ვიტამინები.

ვიტამინები აწესრიგებენ ორგანიზმში მიმდინარე სხვადასხვა ფუნქციებს. მათი სიმცირე იწვევს ორგანიზმში ფიზიოლოგიური პროცესების დარღვევას, ხშირ შემთხვევაში ზრდის შეჩერებას და სხვადასხვა დაავადებას.

დღეისათვის აღმოჩენილია რამდენიმე ათეული ვიტამინი.

* * *

*

ყურძნის დაზებითი თვისებების ფართო გამოყენებას ხელს უშლის მისი მოხმარების სეზონის ხანმოკლეობა, ტრანსპორტაბელობის სიმცირე და შენახვის ფაზების შეზღუდვა, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს უალკოჰოლო სასმელების სამრეწველო წარმოებას. კარგად დამზადებული ყურძნის წვენი



მთელი წლის განმავლობაში ინახავს ყურძნის ყველა უფრო და უნდა სებას.

ყურძნის წვენის დამზადება სტერილიზაციის გზით პირველად დაიწყო 1897 წ. ყირიმში, პროფ. გოლუბევის მიერ.

მოთხოვნილების მიხედვით იგი მზადდება ოეთრი — უფრო მყავე და მთრიმლავ ნივთიერებათა ნაკლებ შემცველი, ხოლო წითელი — მთრიმლავ ნივთიერებით მდიდარი.

ფიზიოლოგიის თვალსაზრისით სიცოცხლე არის ნივთიერებათა გარდაქმნა, ენერგიად. საკვები, რომელსაც ადამიანი ღებულობს, უნდა იყოს ადვილად შესათვისებელი, რომლის შესაწოვად ორგანიზმს არ უნდა დასჭირდეს დიდი ენერგიის დახარჯვა, ასეთი საკვებია რძე და ყურძნის წვენი, რომლებიც ამარავებენ ორგანიზმს სხვადასხვა ნივთიერებით და თვითონ ქმნიან ენერგიას. გამოანგარიშებულია, რომ 1 ჩაის ჭიქა პასტერიზებული ყურძნის წვენი შეიცავს დაახლოებით 200 კალორიას.

ყურძნით მკურნალობის დაწყებამდე უნდა შემოწმდეს პირის ღრუსა და კბილების მდგომარეობა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ყურძენი შეიცავს ორგანულ მუავებსა და მარილებს. იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფს გალიზიანებული აქვს პირის ღრუს ლორწოვანი გარსი, შეიძლება ყურძნის მიღების შემდეგ უბრალო გალიზიანებამ გამოიწვიოს ლორწოვანი გარსის ანთება.

ყურძენსა და ყურძნის წვენს, როგორც სამკურნალო და კვებით პროდუქტს, აქვს დიდი მნიშვნელობა და მოთხოვნილება, ამიტომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ გათვალისწინებულია გადიდდეს სუფრისა და სამკურნალო ყურძნის ჯიშთა ფართობები.

გარდა ყურძნისა და გასტერილებული ყურძნის წვენისა როგორც კვებით, ისე სამკურნალო საშუალებად უძველესი ღროიდან იყენებენ დაჩამიჩებულ ყურძენს, ბაქტაზს და საუკეთესო გემურ პროდუქტს — ჩურჩხელას, რომლებიც შეიცავენ ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს და სხვა. ჩურჩხელა ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, იგი შეიცავს ორგანიზმისათვის ადვილად მოსანელებელ ნივ-

თიერებებს: გლუკოზას და ფრუქტოზას (31,1—51,7%) კვერცხული კმან რაოდენობის ორგანულ მუავებს, ვიტამინებს, აზოტოვას და მთრიმლავ ნივთიერებებს; ითვლება მაღალკალორიულ კვების პროდუქტად (318—426) — თავისი კალორიულობით ვაშლისა და მსხლის ტოლფასია.

ამგვარად, ყურძენი და ყურძნის წვენი წარმოადგენს მრავალ მნიშვნელოვან პროდუქტს და სამკურნალო საშუალებას. იგი ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას, ორგანიზმს წმენდს ტოქსიკური ნივთიერებებისაგან, ამაგრებს გულის კუნთებს, ინტენსიური ხდება შარლის გამოყოფა.

✓ ყურძენს იყენებენ აგრეთვე კუჭ-ნაწლავის დაავადების შემთხვევაში, მისი მოქმედებით ხდება კუჭის წვენის ნორმალური გამოყოფა. იგი ანადგურებს ქრონიკული ენთეროკოლიტის გამომწვევ ბაქტერიებს. ყურძნით მკურნალობა კარგ ეფექტს იძლევა ციროზისა და ტუბერკულოზით დაავადების შემთხვევაში და სხვ.

ჩინელები ველური ვაზის — ბრიონი ფოლის ყურძნის წვენს იყენებენ შარლის შეხუთვის საწინააღმდეგოდ, ტიფის შემთხვევაში — ნერწყვის დენისა და პირსაქმების საწინააღმდეგოდ.

გ. პ. პევზნერი დასუსტებულ და დაუძლურებულ ავადმყოფთა საუკეთესო სამკურნალო საშუალებად თვლის დღელამეში 2,5 კგ ყურძნის მიღებას.

მედიცინაში შექმნილია ცალკე დარგი ამპელოთერაპია. (ბერძნულად ამპელო ვაზს ნიშნავს).

ყურძნით მკურნალობა ტარდება მევენახეობის იმ მხარეებსა და რესპუბლიკებში, სადაც ყურძნის სიმწიფის პერიოდი ხანგრძლივია, ამასთან ერთად, არის ყურძნის ჯიშთა მრავალსახეობა, მაგალითად, კავკასიაში ყურძნის ახალი, ცოცხალი სახით გამოყენება იწყება სააღრეო ჯიშებით ივლის-აგვისტოდან და გრძელდება ოქტომბრის ბოლომდე. სამკურნალო და კვების მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს სუფრის ჯიშები, რომლებიც უნდა ხასიათდებოდნენ შეთანაწყობილი შაქრიანობითა და მუავიანობით, მეტი წვენით, ნაკლები ხორცით, წიპწით და ნაზი კანით.

საქართველოს
მთავრობის
მინისტრის
მინისტრის

საკავშირო მეცნიერება-მეცნიერების საკვლევი ინსტიტუტის
ტის „მაღარაჩის“ მიერ გამოყოფილია ყურძნის რამდენიმე ჯი-
ში, როგორც სამკურნალო თვისებების მატარებელი, ასეთე-
ბია: შასლა — მასში შაქრის რაოდენობა 19,37%-ია, ტიტრუ-
ლი მუავიანობა — 0,56%; სემილიონი შაქარს შეიცავს
19,5%-ს და ტიტრულ მუავიანობას — 0,6%-ს; რისლინგი და
ჩაუში საუკეთესო სამკურნალო სუფრის ყურძნის ჯიშებია, სა-
სიამოვნო გემოთი; იზაბელა თვისებური არომატით ხასიათ-
დება, რომელიც წაგავს მოცხარისა და ხენდროს არომატს,
კარგი საშუალებაა სასუნთქი გზებისა და კატარით დაავადე-
ბის შემთხვევაში. ასევე კარგი სამკურნალო თვისებებით ხა-
სიათდება „ალექსანდროული მუსკატი“ საყლაპავის გაღიზია-
ნების შემთხვევაში და სხვა.

წლების განმავლობაში ჩვენ შევისწავლეთ სუფრის ყურ-
ძნის რამდენიმე ჯიშის ქიმიური შედგენილობა, აქედან აღსა-
ნიშნავია ხალილი. იგი სიმწიფის პირველი პერიოდის ჯიშია, ხა-
სიათდება შეთანაწყობილი გემოთი, შაქრის რაოდენობა
11,4—13,5%-ია, ტიტრული მუავიანობა — 5,6—8,3%, ტანი-
ნი ხალილის და, საერთოდ, სუფრის ყურძნის ჯიშებში მცირე
რაოდენობითაა გამოსახული (0,15—12%).

საქართველოში სამკურნალო ჯიშებად ითვლება ეზანდა-
რი, თითა, შასლა, წითელი ბუდეშური. აღნიშნული ჯიშები
ხასიათდება სასიამოვნო გემოთი, ლამაზი წყობის მტევნით,
შეთანაწყობილი შაქრიანობითა და მუავიანობით, ვიტამინების
საკმაო რაოდენობით და მაღალი მოსავლიანობით.

საგვიანო ჯიშებიდან აღსანიშნავია კარაბურნუ, ვერმენტი-
ნი, ცხენის ძუძუ, ამლახუ, ხარისთვალა და სხვა, რომელთა
დაწვრილებითი ქიმიური მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ
მოყვანილ ცხრილში.

საქართველოს პირობებში ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავ-
ლილი სასუფრე ყურძნის ჯიშებში ვიტამინების შემცველობის
საკითხი, ამიტომ მიზნად დავისახეთ გამოვვერკვია ვიტამინ
C, B₁ B₁₂-ს რაოდენობრივი შედგენილობა. შესასწავლად
ავილეთ სუფრის ყურძნის რამდენიმე ჯიში გეოგრაფიული ზო-
ნების მიხედვით.

გეოგრაფიული ზონების გახვევით სუფრის ურარენის ჯაშები ვიტამინების შემცველება

(სურათეთი—გუდაუთას მიკროზრაითნი)

კოშის დასახულება	C ვიტ. გგ%	β_1 ვიტ. გგ %	$\beta_1 \cdot \beta_2$ ვიტ. გგ %	$\beta_{12} \cdot \beta_{30}$ ვიტ. გგ %	ტიტო. გუ.		ლვ. გუ. %	P_H	ტანინი გუდაუთას მიკროზრაითნი		საქართველო					
					გუ.	გუ. %			გუ.	გუ. %						
შასლა	3,91	4,29	0,025	0,098	0,003	0,009	8,46	11,4	5,71	6,98	3,44	3,35	0,64	0,63	10,3	11,5
განჯური	6,23	5,77	0,025	—	0,0017	0,0026	12,2	7,83	6,9	5,2	3,61	3,44	0,28	0,31	17,0	15,6
ხარისითვალი	3,63	3,73	0,025	0,096	0,001	0,0091	7,59	5,83	4,9	3,73	3,4	3,23	1,11	1,21	11,3	18,95
ცხენის გუძლი	4,35	3,73	0,037	0,020	0,0016	0,0021	11,1	10,11	3,7	3,41	3,31	0,69	1,20	—	11,5	—
კილჩუ	3,14	5,48	0,037	0,029	0,0019	0,0023	12,2	9,3	—	8,7	3,34	3,29	2,7	0,39	18,06	16,76

(მეტრეთი—საქართველოს საცდელი საზღვრი)

წითელი ბულუშერი	2,41	0,141	0,037	0,0017	0,0026	6,22	3,76	5,04	2,58	3,13	3,58	1,3	0,45	14,3	17,2		
კარაბურუ	5,66	0,141	0,059	0,0017	0,0017	4,87	4,92	—	6,10	3,38	3,50	0,54	0,42	16,91	16,2		
კლარჯული	3,35	0,141	0,038	0,0013	0,002	8,0	5,96	—	8,24	3,13	3,31	0,57	0,60	14,39	18,3		
ხარისითვალი	2,23	0,245	0,14	0,0016	0,0009	6,52	8,37	—	5,42	3,34	3,35	0,42	0,54	11,9	14,6		
გარსანგ ლანი	3,89	0,225	0,058	0,0017	0,0026	4,27	4,55	5,17	4,19	3,23	3,51	0,6	0,64	—	19,6	—	
ამლახუ	3,66	3,18	0,037	0,058	0,0018	0,0016	—	10,02	—	4,58	—	3,31	—	0,51	—	13,5	—
ვერტენტინო	—	3,18	—	0,058	—	0,002	—	6,32	—	8,16	—	3,47	—	0,36	—	—	—

X ₁₂ დასახულება	C	გთ.	გვ%	β_1	გთ.	გვ. %	β_{12}	გთ.	გვ. %	β_{10}	გთ.	გვ. %	P _H	ტანინი	განაკვეთი	განაკვეთი	
	გვ.	გვ.	გვ.	გვ.	გვ.	გვ.	გვ.	გვ.	გვ.	გვ.	გვ.	გვ.	გვ.	გვ.	გვ.	გვ.	
ხალილი	5,36	4,24	0,046	0,090	0,0026	0,0037	7,0	8,30	6,3	7,125	3,51	3,57	0,15	0,3	9,8	11,4	
ქართლური	2,63	2,93	0,41	1,187	0,0027	0,002	10,4	5,64	7,9	5,74	3,51	—	1,59	0,75	11,1	14,35	
ქართლი საადრეო	5,36	3,73	0,06	0,41	0,0011	0,0021	4,46	5,2	6,9	5,51	3,44	3,60	1,1	0,47	17,6	14,0	
შესალა	4,24	6,23	0,046	0,036	—	0,0009	4,57	7,57	5,9	5,79	3,89	3,4	0,3	0,59	17,6	20,2	
წითელი ბუღუშური	3,83	3,52	0,075	0,082	0,0087	0,008	5,6	4,41	5,90	5,9	3,23	—	0,54	0,301	17,09	14,42	
განჯური ბუღუშური	2,51	2,71	0,150	0,057	—	0,007	6,58	—	7,47	—	3,2	3,4	0,75	0,57	17,29	20,23	
საფურავისებრი ბუღუშური	3,52	2,73	0,019	0,021	0,0001	0,0095	9,3	7,87	7,75	6,98	3,51	3,4	1,2	0,57	21,5	21,29	
ცენტ მუჭუ	3,86	3,38	0,138	0,123	0,0027	0,002	11,02	6,46	—	6,36	3,13	3,41	0,63	0,69	11,6	15,69	
ხარისითვალა	1,34	0,142	0,098	0,098	0,0027	0,0012	6,58	5,66	—	5,79	3,03	3,40	1,08	0,69	8,0	15,69	
ვერცხნტინი	2,38	3,18	0,15	0,100	0,0027	0,0012	6,58	8,46	—	7,68	3,35	3,41	0,81	0,72	15,6	13,5	
	2,34	4,36	0,15	0,100	0,0027	0,0012	6,58	8,46	—	7,68	3,35	3,41	0,81	0,72	15,6	13,5	
ხალილი	3,65	0,301	0,090	0,0004	0,0025	0,623	5,69	4,4	4,101	3,44	3,4	0,5	0,87	13,5			
ქართლური საადრეო	3,65	0,428	0,528	0,001	0,001	5,92	7,08	4,9	6,703	3,64	3,5	0,42	1,2	17,06	13,2		
შესალა	3,65	0,15	0,093	0,0026	0,0012	4,57	9,26	5,83	7,66	3,44	3,28	0,42	0,6	17,29	20,5		
განჯური ბუღუშური	2,81	0,15	0,058	0,0026	0,002	5,6	5,11	6,8	3,61	3,83	0,57	1,1	0,57	17,3	16,4		
წითელი ბუღუშური	3,39	0,315	0,019	0,0019	0,0012	7,3	8,707	—	8,12	3,08	3,29	1,26	0,36	15,1	12,24		
ხარისითვალა	4,01	2,46	0,019	0,526	—	0,0012	6,32	—	5,22	3,64	3,28	0,5	0,42	—	18,74		
ამლახუ	3,39	2,56	0,076	0,19	0,004	0,0026	—	11,47	—	8,48	—	3,5	—	0,51	—	15,54	
ცხენის ძუძუ	3,65	2,601	0,401	0,371	0,0026	0,0019	—	7,59	—	6,82	—	3,5	—	0,48	—	17,12	

(ქართლი—ლილიმის მიკრორაიონისარი)

(კახეთი—თულავის მუვანახვასა-მულგინობის საცდელი სადგური)



საკვლევ ობიექტებად აღებულ იქნა გუდაუთას რამდენიმე გუდაუთას (ზღვის დონიდან 8 მ მ სიმაღლეზე); საქარის მეცნიერება-მეცნიერების საცდელი სადგური (ზღვის დონიდან 159 მ-ზე), სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დილმის სასწავლო მეურნეობა (ზღვის დონიდან 402 მ-ზე) და თელავის მეცნიერების, მეცნიერებისა და მეცნიერების საცდელი სადგური (ზღვის დონიდან 520 მ-ზე). საკვლევად აღებული იყო შემდეგი ჯიშები: ხალილი, ბუდეშური, შასლა, ხარისხთვალა, განჯური, ცხენის ძუძუ, ვერმენტინო და კლარჯული (იხ. ცხრ.).

მრავალწლიურმა მონაცემებმა გვიჩვენა, რომ სუფრის ყურძნის ჯიშებში აღნიშნული ვიტამინების ოდენობითი შემცველობა სხვადასხვაა, ხოლო გეოგრაფიული ზონების მიხედვით გუდაუთას, საქარის, დილმისა და თელავის საცდელ ნაკვეთებში არსებული სუფრის ყურძნის ჯიშები (ხალილი, შასლა, განჯური, წითელი ბუდეშური, ვერმენტინო, ცხენის ძუძუ, ხარისხთვალა, ამლახუ) ზემოგანხილული ვიტამინების შემცველობის მեრივ ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან.

ურნების ღვინის გიგანტი შედგენილობა

ყურძნის ღვინის დიეტური და სამკურნალო თვისებების შეფასებისათვის აუცილებელია ვიცნობდეთ მის ფიზიკურ-ქიმიურ შედგენილობას. აქ ჩვენ შევეხებით ისეთ ელემენტებს, რომლებიც წარმოიქმნებიან დუღილის, ღვინის დაძველებისა და მისი დამწიფებისპიროვნების პროცესში.

ნივთიერებები, რომლებსაც ახლად დადუღებული ღვინის შემადგენლობაში ვხვდებით, წარმოიშვებიან სამი ძირითადი წყაროდან: 1. ყურძნის წვენიდან; 2. მტევნის მაგარი ნაწილებიდან და 3. ალკოჰოლური დუღილის პროცესში.

ტკბილის ალკოჰოლური დუღილის შემდეგ ღვინოში რჩება მცირეოდენი შაქარი (მეტწილად ფრუქტოზა, ხოლო გლუკოზა თითქმის მთლიანად დუღდება), ვაშლის, ღვინის და ლიმონის მუვები; მცირეოდენი ტანიდები და საღებავი ნივ-

თიერებანი; ნაწილობრივ პექტინები და გუმი ნივთიერებების აზოტოვანი ნივთიერებანი; ნაცროვანი ელემენტების ნაწილი და მეტად მცირე რაოდენობით სურნელოვანი ნივთიერებანი:

კლერტიდან, ჩენხოდან და წიპტიდან ღვინო ღებულობს: ტანიდებს, სალებავ ნივთიერებებს, ფლობაფენს, ნაწილობრივ აზოტოვან ნაერთებს, მცირეოდენ ვაშლისა და ღვინის მეტებს, ვანილინს და სხვა სურნელოვან ნივთიერებებს;

დუღილის პროცესში წარმოიშვებიან ეთილალკოჰოლი, მეთილალკოჰოლი, გლიცერინი, უმაღლესი ალკოჰოლები და ზოგიერთი მჟავები.

ნახშირწყლები — ჰექსოზები (შაქრები). საფუარა სოკოების მოქმედებით ტკბილში შესული შაქრების მეტი ნაწილი მძაფრი დუღილის დროს იშლება და წარმოშობს ალკოჰოლსა და ნახშირორჟანგს.

ღვინის მჟავას გამოყოფა ალკოჰოლური დუღილისა და ღვინის ფორმირების პროცესში უნდა მიეწეროს სპირტის წარმოშობას, რომელშიც ღვინის ქვის ხსნადობა მცირდება; დუღილის შემდეგ ღვინის ტემპერატურის დაწევას, რომელიც ხელს უწყობს ღვინის ქვის გამოლექვას და ბიოლოგიური პროცესების გამო მჟავიანობის შემცირებას. ამ შემთხვევაში მიკროორგანიზმების მოქმედებით მჟავიანობის შემცირება იწვევს ღვინის ქვის გამოყოფას. რაც ნაკლებ მჟავეა ღვინო, მით უფრო ნაკლები რაოდენობით გაიხსნება ღვინის ქვა.

ღვინის მჟავას ამცირებენ ხელოვნურადაც, ამისათვის იჩმარება ცარცი, კალიუმის კარბონატი ან ღვინის მჟავას ნეიტრალური კალიუმის მარილი. ერთ ლიტრ ღვინოზე ღვინის მჟავას საერთო რაოდენობა 1,5—5,6 გ არ უნდა აღემატებოდეს.

ვაშლმჟავას რაოდენობა ღვინოში ძლიერ მერყევია. იგი ყურძნიდან ძლიერ დიდი რაოდენობით გადადის ტკბილში, დაღვინების პროცესში კი ძლიერ მცირდება ბაქტერიების მოქმედებით, რაც მას შლის რძის მჟავად და ნახშირორჟანგად.

რძემჟავა ყურძნის წვენში სრულიად არ გვხვდება. იგი წარმოიშვება ალკოჰოლური დუღილის დროს შაქრების

ხარჯზე. ღვინოში რძემუავას საერთო რაოდენობაშ შეიძლება 7 გრამამდე მიაღწიოს, საშუალო რაოდენობა კი 2—4 გრამია.

ქარვამ უავა. რაც უფრო წესიერად მიმდინარეობს დუღილი, მით უფრო მეტი ქარვამუავა წარმოიშვება. ლიტრ ღვინოში მისი რაოდენობა 0,25—1,5 გრამია. ღვინოში მქროლავი მუავები დუღილის პროცესში მცირე რაოდენობით წარმოიშვებიან, თუ რაიმე ინფექციურ დაავადებასთან არ გვაქვს საქმე.

მთრიმლავი ნივთიერებანი იწვევენ ღვინის გემოს რამდენადმე დამძიმებას, სამაგიეროდ, ღვინოს სძენს გამძლეობას და ხელს უწყობენ ღვინის ბუნებრივად დაწმენდას.

საღებავი ნივთიერებანი. ღვინის ფერი დამოკიდებულია ყურძნის ჭიშზე, ნიადაგის თვისებებზე, ჰავის პირობებზე და ღვინის ხნოვანებაზე. უჭაჭოდ დაყენებულ კახურ მწვანეს უფრო ღია ჩალის ფერი აქვს, ვიდრე რქაწითელს. კახური საფერავი კი მუქი წითელი ფერისაა, ვიდრე ოცხანური საფერე.

სიძველეში თეთრი ღვინო უფრო ინტენსიურ ფერს ღებულობს, წითელი კი პირიქით, რამდენადმე უფერულდება და უანგულას ფერი გადაკრავს.

პროფ. ს. ვ. დურმიშიძის მონაცემებით, წითელ ღვინოში საღებავის რაოდენობა შეადგენს 1 გ/ლ ენიდინს.

ეთერები ისეთ ორგანულ შენაერთებს წარმოადგენს, რომლებიც მუავებისა და ალკოჰოლების ურთიერთმოქმედებით წარმოიშვება.

ღვინის ბუკეტის შექმნაში ისინი მთავარ მონაწილეობას იღებენ. ღვინო რაც უფრო ნაზი, მაღალხარისხოვანი და ძველია, მით უფრო მეტ ეთერებს შეიცავს, ხოლო დაბალი ხარისხის ღვინოში ზოგჯერ იგი დიდი რაოდენობითაა.

ღვინოში შემცველ ეთერებს შორის ყველაზე სასიამოვნოა ენანტის ეთერი, რომელიც თავისებურ სუნს სძენს ღვინოს.

✓ აზოტოვანი ნივთიერებანი ღვინოში მცირე რაოდენობითაა (0,01—0,04 %), მაგრამ მის ზოგიერთ თვისებაზე და გამძლეობაზე მაინც თვალსაჩინო გავლენას ახდენს. ტკბილსა და

ღვინოში შემავალი აზოტოვანი ნივთიერებანი შედგება: აფუნქციანულების, ალბუმოზების, პეპტონების, ამიდების, ამინომჟავებისა და ამონიუმისაგან.

დუღილის დროს საფუარი ხსენებული შენაერთებით იკვებდა, რის შედეგად შენაერთების რაოდენობა მცირდება. შემცირებას იწვევს აგრეთვე ამინომჟავებიდან დუღილის პროცესში წარმოშობილი უმაღლესი ალკოჰოლუები. მაგრამ თუ ღვინო ლექზე დიდხანს დავტოვეთ, ასეთ შემთხვევაში შემცირების მაგიერ ღვინოში აზოტოვან ნივთიერებათა რაოდენობა მოიმატებს.

უაზოტო ნივთიერებანი — ღვინის სურნელება (არომატი და ბუკეტი). ჯერ კიდევ დუღილის პროცესში და შემდეგ, ღვინის დამწიფებისა და დაძველების დროს, ღვინოს სუნი თანდათან ეცვლება. ახალი ღვინის დამახასიათებელ სუნს არომატს უწოდებენ, ძველი ღვინისას კი — ბუკეტს.

მინერალური ნივთიერებანი ღვინოში 0,1—0,4%-მდეა. მასში უმთავრესად შედის კალიუმის, კალციუმის, მაგნიუმის მარილები. ღვინოში ნაცრის რაოდენობა განისაზღვრება ღვინის ტიპიურობით, კლიმატური პირობებით და სხვა.

კალიუმის რაოდენობა ღვინოში დამკიდებულია ნიადაგის თვისებებზე, ღვინის სიმაგრეზე და სარდაფის ტემპერატურაზე. რაც უფრო გრილ სარდაფშია ღვინო, მით მეტი ღვინის ქვა გამოიყოფა. კალიუმის რაოდენობა 0,016—0,245%-მდეა.

ნატრიუმი ღვინოში ძლიერ მცირე რაოდენობითაა (0,001—0,008%), მისი ოდენობითი შემცველობა დამკიდებულია ნიადაგურ პირობებზე.

კალციუმის რაოდენობა ღვინოში 0,02%-ია. იმ შემთხვევაში, თუ მივუმატებთ კალციუმის კარბონატს, ღვინის მჟავის შემცირების მიზნით, მაშინ შეიძლება კალციუმის რაოდენობა გაიზარდოს.

რკინა და მანგანუმი ღვინოში ძალიან მცირე რაოდენობითაა. (ლიტრზე 10—15 მგ) რკინის რაოდენობის გაზრდა ნიადაგური პირობებით ან ყურძნის ტექნოლოგიური დამუშავების დროს შეიძლება რკინის საგნების ხმარებით იყოს გამოწვეული.

ფოსფორი ზემოთ განხილულ მინერალურ ნივთების შემთხვევაში შედარებით მეტი რაოდენობითაა ღვინოში ($0,1—0,5$ გ). ექსტრაქტულ ღვინოებში უფრო მეტია ფოსფორის მუავა, ის შეერთებულია მინერალურ ელემენტებთან და ორგანულ ნაერთებთან.

სპეციალური მნიშვნელობა

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ყოველგვარი სპირტოვანი სასმელი მავნებელია აღამიანის ორგანიზმისათვის. ასეთი შეხედულება არ არის მართებული, ვინაიდან ზოგიერთი სპირტოვანი სასმელი (ბუნებრივ მასალებთან ახლოს მყოფი მაღულრები) განსაზღვრულ პირობებში და მოხმარების დაღვენილი ნორმებით სასარგებლოდ ითვლება.

მადუღარა სასმელად, პირველ ყოვლისა, უნდა ჩაითვალოს ყურძნის ღვინო, რომლის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისა და მკურნალობისათვის ათასეული წლების წინ იყო ცნობილი; შემდეგ კი რძემჟავა დუღილის პროდუქტები (კეფირი და კუმისი), რომელთა ხმარება განსაზღვრულია დადგბითი თვისებების გამო, და ბოლოს ლუდი, სიდრი (ვაშლის ღვინო), პუპრი (მსხლის) და სხვა ხილ-კენკრის ღვინოები.

მაღულარა სასმელები და განსაკუთრებით ყურძნის ღვინო, როგორც ცნობილია, თვისი შედგენილობით უახლოვდება პირველად მასალას. ძირითადი განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ პირველად მასალაში არსებული შაქრების ხარჯზე დუღილის დროს წარმოიშვება სპირტი.

რადგან ყურძნის ღვინოში ტოქსიკურ ელემენტად სპირტი გვევლინება, ხოლო დანარჩენი შემადგენელი ნაწილების დიეტური თავისებურება ეჭვს ორ იწვევს, საჭიროა განვიხილოთ ეთილის სპირტის (ეთანოლის) ფიზიოლოგიური თავისებურება.

უკანასკნელ ხანებამდე მეღიცინის და ბიოქიმიის წარმო-
მადგენელთა დამოკიდებულება სპირტისადმი უარყოფითო
რეა.

საფრანგეთის უურნალ „სამეცნიერო მიმოხილვაში გადატყუდა“ მული იყო კითხვა მედიცინის მუშაკებისადმი: თვლიან თუ არა სპირტს საკვებ ნივთიერებად, თუ წარმოადგენს იგი მავნეს, ანდა არის თუ არა განსაზღვრული მისი მიღების დოზები?

ამ კითხვის საპასუხოდ დიდი მეცნიერი დიუკლო, ხელმძღვანელობს რა ამერიკელი მკვლევარების ეტუოტერისა და ბენედიქტოს მიერ ჩატარებული ცდებით, აღნიშნავს, რომ სპირტი და ღვინო წარმოადგენს ძვირფას საკვებ პროდუქტებს.

მეცნიერთა აზრი მივიღა იქამდე, რომ სპირტოვანი სასმელების სხვადასხვა ღოზებით ხმარება სხვადასხვა ეფექტს იძლევა. დიუკლო არატოქსიკურად თვლის დღეში 1 ლიტრ ღვინის მიღებას. პროფ. უოფრუა კი— $3/4$ ლიტრამდე 10° -იან ღვინოს. განსაზღვრული ღოზა სუფთა სპირტისა არატოქსიკურია, თუ იგი წყლიანი ხსნარია, მაგრამ დიდი კონცენტრაციის შემთხვევაში მავნეა. ტოქსიკური მოქმედება განსაზღვრული ღოზით მიღებისას სხვადასხვაა და დამოკიდებულია მოძრავარებლის საერთო მდგომარეობაზე. პროფ. ხლოპინი აღნიშნავს, რომ ალკოჰოლს, კვებითი ღირებულების თვალსაზრისით, შეუძლია შეცვალოს ცხიმები, ნახშირწყლები და, რაც მთავარია, ცილოვანი ქსოვილების გარკვეული ნაწილი დაიცვას დაშლისაგან, რომ ალკოჰოლი ხასიათდება ყველა ძირითადი თავისებურებით, რომელიც ახასიათდეს საკვებ ნივთიერებებს, გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ ის, რომ ალკოჰოლი არ მონაწილეობს ორგანიზმის ე. წ. პლასტიკურ პროცესებში, ე. ი. ორგანიზმის ქსოვილების შექმნაში, რითაც განსხვავდება ცხიმებისა და ნახშირწყლებისაგან.

ხლოპინის გადმოცემით, სპირტის კვებითი ღირებულები, შესახებ მეცნიერება იმ დასკვნამდე მივიღა, რომ ალკოჰოლი თავისი ტოქსიკური თვისებების გამო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სრულიად ვერ შესცვლის ცილებს, ცხიმებს და ნახშირწყლებს. მიუხედავად ალკოჰოლის მავნეობის შესახებ არაერთგზის მტკიცებისა, იგი მაინც სასარგებლო მონაპოვარია თერაპიასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში.



ალკოჰოლის მავნე და დამღუპველი მოქმედება შემჩნეულია მხოლოდ მისი ბოროტად გამოყენებისას.

დიდი ხანია ცნობილია, რომ ეთანოლი მცირე რაოდენობით მოიპოვება ჰაერში, წვიმისა და მდინარის წყალში, მცენარის ფოთლებში, ცხოველის ორგანოებში, სისხლში და საკვებ პროდუქტებში; მაგალითად, ახლად გამომცხვარ პურში ივი 0,3%-ია.

უახლესი გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ადამიანის ორგანიზმში სისხლისა და ქსოვილების სითხეში ეთანოლი აღწევს 30—60 მგ/ლ. ორგანიზმში მისი წარმოშობის წყაროა გლუციდები (ნახშირწყლები), რომლებიც წარმოიქმნებიან ნივთიერებათა ცვლის შედეგად ნაწლავების მიკროფლორას-თან შეთანაწყობით.

სპირტი ორგანიზმიდან სასუნთქი გზებით და თირკმლების საშუალებით გამოიყოფა. ორგანიზმში ხდება სპირტის დაუანგვა მცირე რაოდენობით (5%). სპირტი მაღალკალორიული საკვებია (1 გ სპირტი იძლევა 7 კალორიას, მაშინ როცა ცხიმი იძლევა 9-ს). იგი ერთადერთი ნივთიერებაა, რომელსაც არ ახასიათებს სპეციფიკური ღინამიკური (თანასწორობითი) მოქმედება — თავისი დაუანგვის ხარჯზე იცავს გადაწვისაგან სხვა საკვებს. სპირტი სასარგებლოდ მოქმედებს პატარა დოზით და მცირე კონცენტრაციით მიღებისას განსაკუთრებით სხვა საკვებთან ერთად. ასეთ პირობებს აქმაყოფილებს ყურძნის ღვინო, განსაკუთრებით მსუბუქი სუფრის ღვინოები, რომლებიც სპირტს შეიცავენ (9—12%).

თუ ყურძნის ღვინოში სპირტის არატოქსიკური დოზაა, მაშინ ის მავნედ არ ითვლება.

ღვინის პროცესილაზტიკური და სამარხნალო თვისებები

როგორც ყურძნენსა და ყურძნის წვენს, ასევე ღვინოსაც უხსოვარი ღროიდან იყენებს ადამიანი კვების პროდუქტიად და სამკურნალო საშუალებად.

გერ კიდევ ჩვენს ერამდე, ტროადის ალყის დროს, ეჭიმე-



ში ღვინოს იყენებდნენ როგორც სამკურნალო საშუალებები და „ილიადაში“ პომეროსს მოყვანილი ჰყავს ორი ექიმი, რომლებიც დაჭრილებს და მოხუცებს მოლონიერებისათვის უნიშნავ-დნენ ღვინოს.

ჰიპოკრატეს მითითებით ღვინო თავისი ფიზიოლოგიური თვისებებით წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საშუალებას სხვადასხვა დაავადების შემთხვევაში. „ღვინო, — ამბობს ჰიპოკრატე, — საოცრადაა შეგუებული ადამიანის ორგანიზმს საღი იქნება. იგი, თუ ავადმყოფი“.

გამოჩენილი რიტორი ასკლე პირატი, რომელიც რომში დასახლდა პომპეუსის დროს, ცნობილია თავისი დიეტური მკურნალობით, რაშიც ღვინოს მიკუთვნებული აქვს თვალსაჩინო ადგილი.

გალენი მიუთითებდა ღვინის საკვებ და ტონუსურ თვისებებზე. ცელსიუსი, რომელსაც მედიცინის ციცერონს უწოდებენ, იძლევა მთელ რიგ რეცეპტებს, რომლებშიც ღვინოს უკავია ერთ-ერთი ნაწილი.

მოქანცულობის შემთხვევაში დახარჯული ენერგიის აღდგენის კარგი საშუალებაა ღვინო. კვების ჰიგიენის კონგრესზე არმან გოტიერი აღნიშნა: „ყველამ იცის, თუ მეტისმეტი მოქანცულობის შემთხვევაში როგორ კარგ აღგზნებით გავლენას ახდენს ერთი ჭიქა ღვინო და ერთი ფინჯანი ყავა. ღვინო ხელს უწყობს სხვა საკვებ ნივთიერებათა წვას, უკეთ რომ ვთქვათ, იგი წარმოადგენს საწვავ მასალას. ცოცხალი მანქანისათვის ის ასრულებს მექანიზმზე წასასმელი ზეთის როლს“.

• ფიზიკური შრომის შემთხვევაში დიდი რაოდენობით ხდება ორგანიზმში არსებული სითხის აორთქლება და ამ მომენტში წყლის წყურვილის დასაკმაყოფილებლად ურჩევენ ღვინოს.

ალბერტონმა და როსიმ დააყენეს ცდები იმ ადამიანებზე, რომლებიც არასოდეს არ ღებულობდნენ ღვინოს, მათ 20 დღის განმავლობაში ყოველდღიურად ეძლეოდათ $1/2$ ლიტრი ღვინო, რის შედეგად მიიღეს შემდეგი სურათი: ღვინოში შემავალი სპირტი თითქმის მთლიანად იწვებოდა ორგანიზმი, რაც ხელს უწყობს მის მუშაობას; სპირტის მეტად ზომიერი დოზებიც კი საკმაოდ ადიდებს საჭმლის მომნელებელი წვენის



სეკრეციას, განსაკუთრებით მარილმჟავისას, და დადებიტული მოქმედებს საჭმლის მონელებაზე; ღვინო ამცირებს ცხიმებისა და ნახშირწყლების ხარჯებს; ღვინოში არსებული სპირტი ხელს უწყობს ნერვული სისტემის სტიმულაციას და ზრდის ჰემოგლობინის შემცველობას.

ღვინოს დიდი მნიშვნელობა აქვს სასიცოცხლო ძალების შენარჩუნებისთვის, სეზონური გრიპის, სასუნთქი ორგანოების კატარისა და ნევრალგიის დროს. იგი ზრდის რა ორგანიზმის დამცველ რეაქციას, ახდენს ადგილობრივი სასუნთქი ორგანოების დეზინფექციას ამოსუნთქვის დროს.

ღვინის პროფილაქტიკური თვალსაზრისით გამოყენება ხდება მისი ბიოენერგეტიკული, ბაქტერიციდული და ანტისეპტიკური თვისებების გათვალისწინებით. იგი ნაწლავებს იცავს სხვადასხვა ბაქტერიების მოქმედებისაგან. მთელი რიგი მეცნიერები ამ თვისებას ხსნიან ღვინოში შემავალ რძემჟავას და განსაკუთრებით კი პოლიფენოლების, წითელ საღებავებში შემავალი გლუკონების თვისებებით. აქედან გასაგებია, რომ წითელი ღვინო უფრო აქტიური ბაქტერიციდული მოქმედებისაა, ვიდრე თეთრი.

1918 წ. უნგრეთის ამპელოგრაფიის ინსტიტუტის შრომებში გამოქვეყნებულ იქნა შედეგები ღვინოში ტიფის ბაცილების უმოქმედობის შესახებ. გამოკვლეულ იქნა, რომ წითელი და თეთრი ღვინო, რომლებიც ალკოჰოლს შეიცავენ 8,5—10,1%, ხოლო ტიტრულ მჟავიანობას — 5,7—6,95 გ/ლ, 15 წუთის განმავლობაში დამღუპველად მოქმედებს ტიფის ბაცილებზე. ღვინის განზავების შემთხვევაში კი (10 მლ ღვინო და 5 მლ წყალი) ეს პერიოდი 15—30 წუთამდე გრძელდება.

* მთელი რიგი მეცნიერების დასკვნით, ღვინოს თავისი ანტიტოქსიკური თვისებების გამო იყენებენ გველისა და სხვა შხამიანი ცხვველების ნაკეთების წინააღმდეგ. ლომბრიოზოს ცდებში კურდღლებმა ღვინის გავლენით აიტანეს სტრინინის სასიკვდილო დოზის 2-ჯერ მეტი რაოდენობა.

ღვინის დადებითი გავლენა ჯანსაღ ადამიანზე აღნიშნული აქვთ მთელ რიგ ავტორებს. ჭამის წინ ღვინის მიღება ზომიერ ფარგლებში აღაგზნებს ღვიძლის უჯრედებს და ხელს უწყობს



ნაღვლის ბუშტიდან გამოყოფილი წვენის გადასვლას თორმეტული გოჭა ნაწლავში, აქტიურდება ღვიძლის ამილაზა და მცირდება მასში გლიკოგენის შემცველობა. ღვინო (განსაკუთრებით თეთრი) მასში შემავალი გლიცერინისა და ღვინის მჟავას გავლენით ითვლება ერთ-ერთ ღიურეტულ ღრნისძიებად თირკმლების გაწმენდის შემთხვევაში. ყურძნის წვენთან შედარებით იგი ვიტამინებს მცირე ადენობით შეიცავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ P და B₂ ვიტამინებს.

• მრავალრიცხოვანმა საბჭოთა და საზღვარგარეთელმა მკვლევარებმა აღნიშნეს, რომ ღვინოში აღმოჩენილია მთელი რიგი ვიტამინებისა, მათ შორის: ვიტამინი C — ასკორბინმჟავა, რომელიც მედიცინაში გამოყენებულია როგორც სურავანდის საწინააღმდეგო საშუალება; B ჯგუფის ვიტამინები გამოყენებულია ნეფრიტულ დაავადებათა საწინააღმდეგოდ; PP ვიტამინი — ნიკოტინის მჟავა — პელაგრის წინააღმდეგ, იგი ხელს უწყობს C ვიტამინის აქტიურობას. P ვიტამინი ხელს უწყობს სისხლ-ძარღვების ელასტიკურობის შენარჩუნებას. *

ყურძნის ტექნოლოგიური გადამუშავების შემდეგ დუღილის პროცესიდან დაღვინებამდე მცირდება ყურძნის წვენში შემავალი ვიტამინები, გამონაკლის წარმოადგენს B₂ და P ვიტამინი.

ყურძნის წვენის დუღილის პროცესში ხდება პროდუქციის დაუანგვითი პროცესები, რის შედეგადაც ხდება C ვიტამინის დაშლა.

ღვინის ღირსება რომ მაღლა ავწიოთ, ვიტამინებით მკურნალობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილად იქნა მიღებული ღვინის ხელოვნური ვიტამინიზირება. ამ სამუშაოს განხორციელებას შეუდგა ინოზემცევის ღვინის ქარხანა. ამზადებლენებ C ვიტამინით მდიდარ ბერძნული თხილის შემოუსვლელ ჩენების გამონაწურს, რომელიც შემდეგ განსაზღვრული დოზით შეჰქონდათ ღვინოში.

ვიტამინიზირებულმა ღვინომ რომ შეინარჩუნოს შეტანილი C ვიტამინის აქტიური ფორმა, საჭიროა: ბოთლები შეივსოს ისე, რომ საცობსა და ღვინის ზედაპირს შორის სივრცე იყოს



შცირე; ბოთლები დაიხუროს ჰერმეტულად. ღვინის შემსრულებელი უნდა ხდებოდეს 15° ტემპერატურაზე. ვიტამინიზირებულმა ღვინომ მედიცინის მუშაქთა შორის გამოიწვია დიდი გამოსმაურება. პროფ. ს. გრიბოედოვი (ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტის ჰიგიენის კათედრა) აღნიშნავს ვიტამინიზირებული ღვინის მაღალ ღირსებას, რომ ასე დამუშავებული ღვინო კარგ შედეგს გამოიღებს გულის, კუჭ-ნაწლავის დაავადებისა და საერთო ორგანიზმის მოდუნების შემთხვევაში, აგრეთვე სასურველია დამზადდეს უალკოჰოლო ან მცირეალკოჰოლიანი (1—2%) ვიტამინიზირებული სასმელები ბავშვებისათვის.

პროფ. პერიხანიანცის (სამხედრო ნაწილის პოსპიტალის უფროსი) აზრით, ვიტამინიზირების შემდეგ ღვინო არ კარგავს თავის გემურ თვისებას. იგი აღნიშნავს, რომ სასურველია მოხდეს ფართო გამოყენება ვიტამინიზირებული ღვინისა პოსპიტალებში ავადყოფთა სამკურნალოდ — მძიმე ოპერაციების შემთხვევაში დაკარგული სისხლის აღსაღენად.

როგორც აღვნიშნეთ, P ვიტამინს დიდი მნიშვნელობა აქვს აღამიანის ჯანმრთელობისათვის, იგი ხელს უწყობს კაპილარული სისხლძარღვების ელასტიკურობის შენარჩუნებას. აყალ. ს. ვ. ღურმიშიძის მიერ ჩატარებული მრავალი ცდებით დადასტურდა, რომ კახური ტიპის ღვინო მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებით. და მაღალი ფიზიოლოგიური აქტიურობის თვისებისაა, ე. ი. მისი მოქმედება კაპილარულ მილებზე უფრო ეფექტურია, ვიდრე ქართული ღვინო № 1 (ევროპული ტიპისა), რომელიც მთრიმლავ ნივთიერებას შეიცავს 0,3 გ. ხოლო კახური ტიპის სუფრის ღვინო შეიცავს 2 გ/ლ.

ს. ვ. ღურმიშიძის მიერ გამორკვეულ იქნა აგრეთვე, რომ დაძველების პროცესში ღვინო კარგავს ბიოლოგიურ აქტიურობას.

ღვინო თერაპიასა და მირურგიაზი

ღვინოს დიდი ხნის ისტორია აქვს მრავალი ქვეყნის და მათ შორის საქართველოს მედიცინაშიც.

ღვინო, როგორც სასმელი, წარმოადგენს თანმხლებს ყო-



ველგვარი საჭმელისა, უფრო მეტიც შეიძლება ითქვას; ჟურნალისა
და ღვინო აღამიანის ძირითადი საკვებია.

ღვინის კვებისა და სამკურნალო თვისებებზე ლაპარაკობს
ყველა ღროისა და ქვეყნის საექიმო წიგნები.

ღვინის, როგორც კვებით, სამკურნალო ბაქტერიციდული
და სხვა თვისებების შემცველს, უხსოვარი ღროიდან იცნობენ.
ამიტომ ყურძნის ღვინის ნორმალური დოზით მიღება დიდად
სასარგებლოა როგორც ჯანმრთელი, ისე ავადმყოფი ორგა-
ნიზმისათვის.

✓ ჯერ კიდევ პიპორატეს ღროიდანაა ცნობილი ღვინო,
როგორც ჭრილობების შეხვევის პროცესში დეზინფექციური
საშუალება, განსაკუთრებით სტერილური მასალის უქონლო-
ბის ღროს, რაც ხშირი შემთხვევა იყო საომარ პირობებში.

როგორც XI ს. და უფრო ადრე არსებული ქართული საე-
ქიმო წიგნებიდან ირკვევა, ღვინის ფართო გამოყენება ჰქონ-
და სხვადასხვა სამკურნალო შემთხვევებში.

საექიმო ძეგლად წოდებულ „უსწორო კარაბადინიდან“
ვკითხულობთ, რომ უმაღლობის შემთხვევაში ღვინო არის ერთ-
ერთი კარგი საშუალება“ — მოიხარშოს წვენითა ხუნდი
(ბარტყი) მტრედისა და ქათმისა ისევე მოხარშონ და იმისა
ცოტა დარიჩინი და ხულინჯინი (სულინჯინი) გაურიონ და
უდი (ალოე) და ნაყილი და იმა წუენსა ხურეტდეს და მთის
აღგილასა ძეგლი ღვინო შიგა გაურიონ რომე სტომაქი გა-
აცხელოს“.

საუკეთესო საშუალებად თვლიდნენ ღვინის კუჭის აშლი-
ლობის შემთხვევაში, რომელსაც უნიშნავდნენ დილით, სა-
ჭმელის მიღებამდე. აგრეთვე გაუვალობის შემთხვევაში ურ-
ჩევდნენ „მოხალულისა ფქვილისაგან პური გამოუცხოს და
ღუნინში ჩაუყაროს და ქუნჯითისა ზეთშიც ამოაწოს და ჭამოს
მარგე არის“.

ქანანელს თავის ამ ნაშრომში მოცემული აქვს მრავალი
რეცეპტი სხვადასხვა დააგადების სამკურნალოდ, საღაც სხვა-
დასხვა მცენარეულ ნარევთან ერთად შედიოდა ღვინოც.

ღვინო გამოიყენება მრავალი ავადმყოფობის ღროს,



ჩვენ აღვნიშნავთ ზოგიერთ მათგანს, რომელზედაც ღვინის უფრო უფრო მკვეთრია. ამერიკულ „Wines and vines-ში“ (1962 წ. № 10, ტ. 43) მოთავსებული კალიფორნიის უნივერსიტეტის სამედიცინო პროფილაქტიკის განყოფილების ხელმძღვანელის ექიმ სოლვატორ ლუკიას სტატიაში „რა უნდა იცოდეს ექიმმა ღვინის შესახებ“ (აღნიშნულ საკითხზე ს. ლუკიას გამოქვეყნებული აქვს 125-მდე შრომა), განხილულია ზოგიერთი საკითხი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ღვინოს ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში.

„ღვინო — აღნიშნავს ს. ლუკია, — ქაცობრიობის ისტორიის მატიანემდე იყო ცნობილი, ამიტომ მის სამედიცინო პრეპარატად გამოყენებას უხსოვარი დროიდან მისდევენ.“

რატომ სვამენ ღვინოს? — ამ კითხვას ავტორი ასე პასუხობს — „ადამიანი სვამს ღვინოს ერთი იმიტომ, რომ შეუმცირდეს დაჭიმული მდგომარეობა, მეორე მიეცეს მას გამბედაობისა და მჭევრმეტყველების უნარი. ძველად ღვინოს იყენებდნენ დამაწყნარებელ და ძილის მომვრელ საშუალებად.“

ყველა აფასებს ღვინოს, როგორც დიეტურ ალკოჰოლურ სასმელს, რომელმაც ფართო საზოგადოებრივი აღიარება ჰპოვა. ღვინოს, როგორც სამკურნალო საშუალებას, იყენებდნენ ძველი დროიდან სხვა სამედიცინო პრეპარატებთან ერთად“.

ავტორი მიუთითებს, რომ „კარგია ყველა ექიმმა იცოდეს, თუ როგორი რთული შედგენილობის ბიოლოგიურ სითხეს წარმოადგენს ღვინო. ის არის არა მხოლოდ ალკოჰოლური, არამედ დიეტური სასმელიც, რომელიც შეიცავს სრულ ფიზიოლოგიურ სამკურნალო თვისებებს.“

ცნობილია, რომ ღვინის კალორიულობა განპირობებულია მასში შემავალი B ჯგუფის ვიტამინებისა და მინერალური მარილების: კალიუმის, კალციუმის, მაგნიუმის, ნატრიუმის, რკინისა და ფოსფორის შემცველობით. ეს ელემენტები მონაშილეობას ღებულობენ B ჯგუფის ვიტამინების მეტაბოლიზმში“.

აღნიშნულ სტატიაში ავტორს განხილული აქვს ღვინის როლი საკვების გადამუშავების პროცესში.

„ღვინო წარმოადგენს სითხეს, რომელიც აწესრიგებს სა-

პეტბის გადამუშავების ფუნქციებს. ღვინოში შემავალი პლატფორმაში პიდები, ეთერები და, საერთოდ ბუკეტი, ალაგზნებს პირის ღრუს, რის შემდეგ უფრო მეტად შეიგრძნობა საჭმლის გემო და მადის მომატება. ღვინო არის ერთ-ერთი ფაქტორი ორგანიზმის მიერ საჭმლის მონელებისა და შეთვისების პროცესში და ბოლოს ღვინოს შეაქვს ორგანიზმში ვიტამინები და მინერალური მარილები“.

ექიმი ლუცია აღნიშნავს, რომ „ძველად იყო ისეთი შეხედულება, თითქოს ღვინო მავნედ მოქმედებდა ღვიძლზე. ამ საკითხის შემდგომმა გულმოდგინე შესწავლამ ნათელყო, რომ ღვინო არათუ მავნე, არამედ დადებით გავლენას ახდენს ღვიძლის ციროზით დაავადების შემთხვევაში. ამ მიზნით დაყენებულმა ცდებმა აჩვენეს, რომ ორგანიზმში ღვინის შემდეგ მოხდა შესამჩნევი გაუმჯობესება ღვიძლის ფუნქციებისა. აღნიშნული საკითხის ირგვლივ ს. ლუციას განხილული აქვს ზოგიერთი დაავადების (დიაბეტი და პალაგრა) შემთხვევაში ღვინის დადებითი გავლენა.

„დიაბეტით დაავადებულთა კლინიკური მკურნალობის პერიოდში, — აღნიშნავს იგი, — ღვინო დიდ დახმარებას უწევს მედიცინას“.

† დიაბეტზე ღვინის გავლენა შეისწავლეს XIX საუკუნეში. პრეპარატ ინსულინის გამოგონებამდე, დიაბეტით დაავადებულთ უნდა დაეცვათ საკვებისა და სასმელის მკაცრი შერჩევა და რეჟიმი. ამ მიზნით ჩატარებულ იქნა მრავალი კვლევოთი სამუშაოები და დაღინდა, რომ ღვინო (განსაკუთრებით თეთრი, მშრალი) არათუ შეიძლება შეტანილი იქნეს ავადმყოფის დიეტურ მაგიდაში, არამედ იგი, არსებითად, დამაკმაყოფილებელ ფარმაკოლოგიურ ზემოქმედებას იჩენს, რომლის დროსაც მიმდინარეობს კარბოპიდრატების უფრო სრული ასიმილაცია, ეს კი თავის მხრივ იწვევს შარლში შაქრისა და კეტონების შემცირებას. ამდენად იგი მიზანშეწონილია მკაცრ დიეტაში შევიდეს ზომიერი რაოდენობით.

დიაბეტიანი ავადმყოფის ღვინით მკურნალობა ცნობილია მეორე საუკუნიდან კაბადოკიელი ექიმის არეტოსის მიერ.



დროს სახელწოდება დიაბეტი არ იყო ცნობილი, მხოლოდ შემდეგ დაავადებათა სიმპტომების მიხედვით ეწოდა ეს ტერმინი.

ბევრი ფიქრობდა, რომ ღვინო უარყოფითად მოქმედებდა პადაგრაზე, მაგრამ მთელი რიგი კვლევითი მუშაობის შედეგები გვიჩვენებენ, რომ პირიქით, ღვინის შეტანა სასურველია ავადმყოფის დიეტურ მაგიდაში.

ღვინო თავისი ფარმაკოლოგიური თვისებების გამო გამოიყენება აგრეთვე როგორც დამამშვიდებელი და ძილის მომგვრელი საშუალება გულის სისხლძარღვთა მკურნალობის პროცესში. იგი აუმჯობესებს გულის სისხლძარღვთა ფიზიოლოგიურ ფუნქციებს, როგორც საკვებ პროდუქტს, ახასიათებს ადვილად შთანთქმითი კალორიულობა. ღვინის სპეციფიკური დინამიკური აქტიურობა დაბალია, რის გამოც იგი არ ტვირთავს გულის სისხლძარღვებს საკვების გადამუშავების პროცესში.

გარდა ამისა, ღვინის მქროლავ კომპონენტებს, განსაკუთრებით ზოგიერთ ალდეჰიდებს, ახასიათებს სისხლის მაღალი წნევის დამწევი თვისება. ამის გამო ღვინოს დიდი მნიშვნელობა აქვს თერაპევტიული თვალსაზრისითაც.

მნიშვნელოვანი კვლევითი მუშაობა ჩატარდა ყურძნისა და ღვინის პოლიფენოლურ ნაერთთა და ტანინების ურთიერთდამოკიდებულების ირგვლივ, რის შედეგადაც დადგენილ იქნა, რომ ეს ნაერთები ისეთსავე თვისებებს იჩენენ სისხლის კაბილარული მიღების მიმართ, როგორსაც ვიტამინი P.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ღვინის მრავალ ნიმუშებში კალიუმის შემცველობა ზრდის ნატრიუმის შემცველობას და ამიტომ ასეთი ღვინოები სასურველია შეტანილ იქნას ჰიპერტონიით და გულით დაავადებულთა საღიერო მაგიდაში, თუ მათ საკვებში იქნება ნატრიუმის მცირე რაოდენობა. გარდა ამისა, კალიუმი არეგულირებს არითმიას.

თეთრი ღვინის დიეტური მოქმედება, განსაკუთრებით ტბილი ღვინისა, მიეწერება მასში ბიტარტრატის შემცველობას, წითელი ღვინისა კი — ნაწილობრივ მაინც მასში შეცველ ტანინს.

გარდა ზემოთ აღნიშნული დაავადებისა, ღვინის განსაზღვ-
3. რ. ნამგალაძე

რული დოზა ფეხმძიმობის პერიოდში მადის სტიმულაციის
და დამაწყნარებელი საშუალებაა.

ხანში შესული ავადმყოფები ხშირად უჩივიან მოღუნებას,
სისუსტეს. ეს პერიოდი, ცხადია, არასასიამოვნოდ მოქმედებს
მათ სულიერ განწყობილებასა და ფიზიკურ მდგომარეობაზე.
ასეთ დროს პაციენტს უნდა დაენიშნოს ღვინის განსაზღვრუ-
ლი დოზით მკურნალობა.

ექიმი სოლვატორ ლუცია მთელი რიგი დადებითი ფარმა-
კოლოგიური თვისებების გარდა, მიუთითებს ზოგიერთ დაავა-
დებათა მიმართ ღვინის მავნე მოქმედებასაც.

• ავტორი ონიშნავს, რომ ღვინის ღიეტაში შეტანისას სა-
ჭიროა განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე ავად-
მყოფების მსვლელობაზე. მაგალითად, ნეფრიტის (თირკმლე-
ბის ანთება გამოსახული სისხლის დენით) დროს ღვინო არ
გამოიყენება, თუმცა თირკმლების სხვა დაავადებათა შემთხვე-
ვაში ღვინო შეტანილია დიეტურ მაგიდაში;

ღვიძლის ციროზის (ღვიძლის შემაერთებელი ქსოვილის
ანთება) დროს ღვინის მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაშია და-
საშვები, თუ ავადმყოფის საკვებში შედის ყველა საჭირო ნივ-
თიერებები.

ალერგიის (ნერვული სისტემის მგრძნობიარობის აწევა),
კუჭის წყლულის შემთხვევაში და სხვა ორგანული მოშლილო-
ბის დროს (ჰიპერსეკრეცია — კუჭის წვენის ღიდი რაოდენო-
ბით გამოყოფა) ღიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა ავადმყოფმა
არ მიიღოს ღვინო.

მრავალი ექიმის მიერ რეკომენდებულია ღვინით მკურნა-
ლობა გრიპისა და ტუბერკულოზით დაავადების შემთხვევაში,
რა თქმა უნდა, ისეთი ავადმყოფებისთვის, რომელნიც იტანენ
ღვინოს. ღვინო აუმჯობესებს აგრეთვე ავადმყოფის ფსიქიკურ
მდგომარეობას.

ღვინო წარმოადგენს ისეთ პროდუქტს, რომლის მიღების
დროს ხდება ორგანიზმის ტონუსის აწევა, ამ მიზნით მას იყე-
ნებენ ნაავადმყოფარი ადამიანის გამოჯანსაღებისთვის. ღვი-
ნის მიღებით ორგანიზმში არსებული C და B₁ ვიტამინი კომ-
პენსირდება და ალაგზნებს სანერწყვე ჭირკვლების სეკრეციას.

ექიმები დაავადებათა ხასიათის მიხედვით ავადმყოფებულების ურჩევენ ღვინის ტიპებს. სისხლის ნაკლებობის შემთხვევაში კარგია წითელი ღვინო, რომელიც მდიდარია რუბიდიუმით. იგი აღმგზნები და ენერგიის მომმატებელი საშუალებაა.

1943 წ. მოწვეულ „გლავვინოს“ თათბირზე აღინიშნა, რომ სამამულო ომში დიდი გამოყენება პოვა ღვინომ. პროფ. ქორეიში მაღალი ტემპერატურის მქონე დაჭრილებს ურჩევს თეთრი მსუბუქი ღვინის ზომიერ ხმარებას, რომელიც მათ სიცოცხლეს მატებს და წყურვილს უკლავს.

სუფრის წითელი ღვინის (საფერავის) ხმარება სასარგებლოა მასში ტანიდების დიდი რაოდენობის შემცველობის გამო, მით უმეტეს, თუ ღვინო მიღების წინ შეთბება.

პროფ. რუფანოვი დიდ უპირატესობას აძლევს სადესერტო ღვინოებს (მაღერა, ხერესი, პორტვეინი) ინფექციური დაავადების შემთხვევაში. კუჭის აშლილობის დროს კარგია კაგორის ტიპის ტკბილი წითელი ღვინო. შემაგრებული ღვინოები კი შესანიშნავი საშუალებაა მოქანცულობის შემთხვევაში ენერგიის აღსაღენად.

ყველა ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ ღვინო, რომელიც სამკურნალო მიზნით გამოიყენება, უნდა იყოს ჯანსაღი, ე. ი. არ უნდა ჰქონდეს არავითარი უცხო სუნი და გემო.

დიდი მეცნიერი პასტერი წერდა: „ღვინო წარმოადგენს ყველაზე ჯანსაღ და ჰიგიენურ სასმელს“.

საბჭოთა კავშირში ყველა რაიონს მოეპოვება ღვინო, რომელიც აქმაყოფილებს ენოთერაპიულ მოთხოვნილებას. ასეთებია: მაღერა, ყირიმისა და სომხეთის პორტვეინი, ყირიმისა და სომხეთის მუსკატი, სომხეთის ხერესი, კახეთის წითელი და თეთრი სუფრის ღვინოები, სომხეთის წითელი სადესერტო ღვინო, აზერბაიჯანის და შუა აზიის სადესერტო ღვინოები — აბრაუ-დიურსოს შამპანური. სამკურნალო და პროფილაქტიკური თვალსაზრისით საუკეთესო საშუალებად (სხვადასხვა დაავადების მიმართ) შეიძლება დავასახელოთ ქართული ღვინის ტიპები: ბუნებრივად ნახევრად ტკბილი „ქინძმარაული“, „ხვანჭკარა“, „ახაშენი“, „ხიხვი“ და სხვ.

ენერგიის აღმდგენ და გამხალისებელ საშუალებად კარგია შუშხუნა ღვინოები „მწვანე“ და „ჩხავერი“.

ღვინო წამლად თუ კვებით პროდუქტად ისე უნდა გამოვყენოთ, რომ მან ადამიანს მოუტანოს სარგებლობა და არ გადავაჭციოთ იგი როგორც საწამლავი.

ღვინო, როგორც მრავალი მნიშვნელობის პროდუქტი, საჭიროებს მეტ ყურადღებას მეღვინე სპეციალისტებისაგან, რათა გააუმჯობესონ ღვინის სამკურნალო და დიეტური თვისებები, გაამდიდრონ ტანინით, ფოსფორით, მინერალური ნივთიერებებით და ვიტამინებით.

ჩვენმა დიდმა რუსმა მწერალმა ა. მ. გორქიმ 1926 წ. 17 აგვისტოს ორიგინალური შეფასება მისცა ღვინის ქარხანა „მასანდრის“ (ყირიმი) დეკუსტაციაზე გასინჯულ ღვინოებს და მეღვინეთა ხელოვნებას და შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა შემდეგი: „ვსვამდი და აღფრთოვანებაში მოვდიოდი; ღვინოში ყველაზე მეტი იგრძნობა მზე. გაუმარჯოს ხალხს, რომელთაც იციან ღვინის დაყენება, და მისი საშუალებით — მზიური ენერგიის შეტანა ადამიანის სულში“.

*

* * *

• ქველი დროის ერთ-ერთი მავნე და საშიში გადმონაშთია ალკოჰოლიზმი, რომლის სოციალური ფესვები ჩვენს ქვეყანაში მოსპობილია. იგი ძირს უთხრის მშრომელთა კეთილდღეობას, აფერხებს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებას.

სპირტიანი სასმელის სისტემატური და ჭარბი რაოდენობით მიღების შედეგად ადამიანის ორგანიზმში იქმნება თავშეუკავებელი მოთხოვნილება სასმელის მიღებისა, რომელიც გადადის ფიზიოლოგიურ დაავადებაში. ასეთ მოვლენას მეღიცინაში ალკოჰოლიზმს უწოდებენ.

† ტერმინი ალკოჰოლიზმი ცნობილია 1852 წ. შვედი მეცნიერების მიერ.

ცნობილია, რომ სპირტის გამოხდა ხდება სხვადასხვა ხილისა და მარცვლეულისაგან, რასაც ალკოჰოლს უწოდებენ.

სპირტი, ანუ ალკოჰოლი მაგარი სასმელების (კონიაკი, ზოგჯერ ლიკორის ფრანგული და ლიკორის) ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

• ალკოჰოლი წარმოადგენს შხამს. მისი ბოროტად გამოყენება იწვევს ორგანიზმის ფუნქციების მოშლას, ასუსტებს ნერვულ სისტემას, იწვევს კუჭის სხვადასხვა დაავადებას, ლვიძლის და გულის ატროფიას.

ნერვულ სისტემაზე ალკოჰოლის დამანგრეველი მოქმედების მექანიზმს იკვლევდნენ ცნობილი რუსი მეცნიერები: ი. მ. სეჩენოვი, ი. პ. პავლოვი, ვ. ი. დანილევსკი და სხვები. მათ დაამტკიცეს, რომ ალკოჰოლი აბრკოლებს და აღუნებს ერთი ნერვული უჯრედიდან მეორე ნერვულ უჯრედში აღგზნების გადაცემას, რაც ბუნებრივია, თავის მხრივ მთელი ნერვული სისტემის მუშაობის სერიოზულ დარღვევას იწვევს.

გარდა იმისა, რომ ალკოჰოლის ჭარბი და სისტემატური მოხმარება თვით მიმღებზე უარყოფით გავლენას აძლენს, იგი აგრეთვე მოქმედებს მის შთამომავლობაზე და საზოგადოებაზეც.

• ყურძნის ლვინის მიღების დოზას განსაზღვრავს ადამიანის წონა, ჯანმრთელობა, ნერვული სისტემის მდგომარეობა და ლვინის სიმაგრე. მცირე დოზად ითვლება 10° -იანი ლვინის მიღება დღე-ღამეში 200 მლ. რაოდენობით. საკუთარი სხეულის წონის ყოველ ერთ კილოგრამზე ექვსი (5,8 გ) მილილიტრი და უფრო მეტი სუფთა ალკოჰოლის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი.

პროფ. პროსტოსერდოვის აღნიშვნით, ყურძნის ლვინოში შემავალი ალკოჰოლი, შედარებით სხვა სასმელებთან, ცოცხალი ორგანიზმისათვის ნაკლებად ტოქსიკურია, რაც შეიძლება აიხსნას ლვინოში შემავალი მრავალი ორგანული ნივთიერებების დადებითი მოქმედებით. აგრეთვე არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ ლვინო შეიძლება შეიცავდეს ისეთ ჯერ კიდევ უცნობ ნივთიერებებს, რომლებიც ასუსტებენ ლვინის ტოქსიკურ მოქმედებას. პროფ. მინდაძის აღნიშვნით, „ნატურალური ლვინო მცირე დოზებით არ იჩენს მავნე გავლენას და ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, გულის მოქმედების გაძლიერებას, მასში არსებული ნახშირწყლები იხარჯება იმ მუშაობის-

თვის, რასაც ადამიანის ორგანიზმი მთელი სიცოცხლის განვითარება
მავლობაში აწარმოებს...

ყოველთვის უნდა-გვახსოვდეს შემდეგი: ღვინომ იცის შე-
ჩვევა თავისი გემოთი და მათრობელი თვისებების გამო. ღვი-
ნის სისტემატური და დიდი რაოდენობით სმა მავნებელია ჯან-
მრთელობისთვის”.

ცნობილი საბჭოთა მეცნიერის ვ. ე. თაიროვის აღნიშვნით,
„ყურძნის ღვინო არასოდეს არ ირიცხებოდა ალკოჰოლიზმის
მსახურთა რიცხვში, არამედ ყოველთვის იყო მისი მტერი“.
მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საჭირო აღარ არის ლოთო-
ბის წინააღმდეგ ბრძოლა.

ღვინოს XII ს. ერთ-ერთმა ფილოსოფოსმა „გულისა მახარო-
ბელი“ უწოდა. ეს ლაპარაკობს იმას, რომ ღვინის ზომიერი
მიღებით ადამიანი შრომის შედეგად დახარჯულ ენერგიას
აღადგენს, მხიარულდება და ხალისიანი ხდება.

გარდა ყურძნის ღვინისა, არსებობს სხვა გზები ალკოჰო-
ლიზმთან ბრძოლის საწინააღმდეგოდ, უპირველეს ყოვლისა,
მხედველობაში გვაქვს სოციალურ-კულტურული ღონისძიება
და შემდეგ მაქსიმალური შეზღუდვა და ნორმირება სპირტო-
ვანი სასმელების მოხმარებისა და ბოლოს გადარჩევა ყველაზე
უფრო ტოქსიკურისა, მათ შორის, არაყისა.

როგორც განხილულიდან ჩანს, ყურძნი, ყურძნის წვერი
და ღვინო ხასიათდებიან როგორც კვებითი, ისე სამკურნალო
თვისებებით. საჭიროა დავიცვათ მათი გამოყენების ოპტიმა-
ლური დოზები, რაც განაპირობებს ადამიანის ჯანმრთელობას
და სიცოცხლის გახანგრძლივებას.

შ 0 6 1 1 6 6 0

შესავალი	3
სალვინე ვაზის ჭიშები	5
ყურძნის ტებილის ალკოჰოლური დუღილი	7
ყურძნის ღვინის კლასიფიკაცია	9
ყურძნი და ყურძნის წვენი, როგორც დიეტური, სამკურნალო და ქვების პროდუქტი	10
ყურძნის ღვინის ქიმიური შედგენილობა	19
ღვინის ფიზიოლოგიური მნიშვნელობა	23
ღვინის პროფილაქტიკური და სამკურნალო თვისებები	25
ღვინო თერაპიასა და ქირურგიაში	29

Намгаладзе Русудан Арчиловна
Полезные свойства винограда и вина
(На грузинском языке)

Издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5
1965

საზოგადოებრივი რედაქტორი პროფ. გ. ბერიძე
გამომცემლობის რედაქტორი ა. არობელიძე
მხატვარი გ. ფურცელაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე
ტექნიკური რედაქტორი ე. აბდუშელიშვილი
კორექტორი ე. მესხი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/V-65 წ. ქალალის.
ზომა 84×108^{1/32}. ნაბეჭდი თაბახი 2,05 სააღრ.-
საგამომც. თაბახი 1,67.

უ. 02103. ტირაჟი 4000. შეკვ. № 366.

ფასი 5 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი
Типография № 4, Тбилиси, Медгородок

